შპს. „აბაკი”

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

ქალაქ თბილისში, ივანე იუმაშევის ქ. #16-ში, ნაკვ. ს.კ.01.19.26.006.002 არსებული #1,3,4,6,7,8 შენობების დემონტაჟი და ახალი საწყობის მშენებლობა

დირექტორი: მ. ჩადუნელი

შეასრულა: ნ. ქარქაშაძე

2024წ.

ქალაქ თბილისში, ივანე იუმაშევის ქ. №16-ში, ნაკვ. ს.კ.01.19.26.006.002 არსებული №1,3,4,6,7,8 შენობების დემონტაჟი და ახალი საწყობის მშენებლობა

მშენებლობის განხორციელების შენაკრები კალენდარული გეგმა

ეტაპები	მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები	მშენ. ხანგრძ. თვეების მიხედვით	მშენებლობის I წელი												მშენებლობის II წელი											
			თვეების რაოდენობა მშენებლობის პერიოდების მიხედვით																							
			I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე	VII თვე	VIII თვე	IX თვე	X თვე	XI თვე	XII თვე	XIII თვე	XIV თვე	XV თვე	XVI თვე	XVII თვე	XVIII თვე	XIX თვე	XX თვე	XXI თვე	XXII თვე	XXIII თვე	XXIV თვე
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27
	I რიგის სამუშაოები																									
I	მოსამზადებელი სამუშაოები; სამშენებლო მოედნის მოწესრიგება, კერძოდ : ამორტიზებული-არსებული (№3,4,6,7,8) ნაგებობების დაშლა და სამშენებლო ნაგვის მოცილება.	3																								
II	შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება	1																								
	II რიგის სამუშაოები																									
	საწყობის მშენებლობა "7-12", არსებული №1 შენობის დაშლა და შემდეგ "1-7" ღერძებში ახალი მშენებლობა																									
III	"7-12" ღერძებში საწყობის შენობის-მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობის სამუშაოები, საძირკვლების მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულის ზევით, სახურავის მოწყობის სამუშაოები	4																								
IV	"7-12" ღერძებში საწყობის შენობის - არამზიდი კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები	5																								
V	დაცვის ჯიხურის -მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობის სამუშაოები, საძირკვლების მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულის ზევით, სახურავის მოწყობა,არამზიდი კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები	3																								
VI	წყლის რეზერვუარი -მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობის სამუშაოები, საძირკვლების მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულის ზევით, სახურავის მოწყობა, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები	4																								
VII	ტერიტორიაზე არსებული №1 შენობის სრული დემონტაჟი და ტერიტორიის მომზადება ახალი მშენებლობისათვის	3																								
VIII	"1-7" ღერძებში საწყობის შენობის-მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობის სამუშაოები, საძირკვლების მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულის ზევით, სახურავის მოწყობის სამუშაოები	4																								
IX	"1-7" ღერძებში საწყობის შენობის - არამზიდი კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები	5																								
X	მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა	8																								

1. მშენებლობის დაწყება აითვლება მშენებლობის ნებართვიდან.

მოპ-2

2. მშენებლობის ხანგრძლივობა მიღებულია 24 თვის პერიოდით, 2 რიგად, 10 ეტაპად.

3. კალენდარულ თვეში მიღებულია 25 სამუშაო დღე შაბათის ჩათვლით, კვირა დასვენების დღედაა ჩათვლილი.

4. სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის ეტაპის დასრულებამდე 10 დღით ადრე ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ. (დადგენილება 255; მუხლი 20, პ9)

5. კოდექსით განსაზღვრული პირის მიერ მშენებლობის დასრულების შესახებ ოქმი დგება სამშენებლო მოედანზე წარმოებული სამუშაოების დათვალიერებისა და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე. (დადგენილება 255, მუხლი 20; პ.10)

განმარტებითი ბარათი:

საპროექტო ობიექტის ქვეშ გათვალისწინებული ტერიტორია განთავსებულია ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, იუმაშევის ქ. #16, ნაკვეთზე ს.კ. 01.19.26.006.002, პროექტი ითვალისწინებს წითელ ხაზებში მოქცეულ ნაკვეთზე არსებული #1,3,4,6,7,8 შენობების დემონტაჟს და ახალი საწყობის მშენებლობის ორგანიზების დაგეგმვას რიგითობისა და ეტაპების მიხედვით. მშენებლობის განხორციელების გეგმიური ხანგრძლივობა განსაზღვრულია 24 თვით (იხ. კალენდარული გრაფიკი მოპ.-2).

საპროექტო ნაკვეთის ფართი წითელ ხაზებში შეადგენს 36908მ^2. საპროექტო მიწის ნაკვეთი მცირედ ქანობიანია, მიწის ნაკვეთზე რელიეფის მაქსიმალურ და მინიმალურ ნიშნულებს შორის სხვაობა 3 მეტრამდეა, ცენტრალურ მხარეს ესაზღვრება საქალაქო გზა-იუმაშევის ქუჩა, დანარჩენ სამ მხარეს კომერციული ფუნქციით განაშენიანებული ნაკვეთები.

არსებული მდგომარეობით წითელ ხაზებში მოქცეულ ნაკვეთზე უნდა განხორციელდეს #1,3,4,6,7,8 შენობების სრული დემონტაჟი, საკადასტრო გეგმაზე აღნიშნული #5;9;10;11;12 შენობები დღეისათვის არ არსებობს არანაირი ფორმით. #2 შენობა უნდა შენარჩუნდეს უცვლელად. რაც შეეხება #1 შენობას, დღეისათვის მასში განთავსებულია მფლობელის პროდუქცია და სხვადასხვა საქონელი, ამიტომ დამკვეთის მოთხოვნით უნდა შენარჩუნდეს ერთი წლის პერიოდით და პარალელურად გამოყენებულ იქნება მშენებლობის პროცესში დროებით დამხმარე ნაგებობად, ერთი წლის შემდეგ უნდა განხორციელდეს არსებული შენობის დაცლა-დემონტაჟი -გადატანა ობიექტიდან.

ახალი საპროექტო საწყობი არქიტექტურულად წარმოადგენს ერთსართულიან სასაწყობე ფუნქციის შენობას, მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლებით, მიწისზევით სენდვიჩპანელის მოპირკეთებით ლითონის კარკასზე (კედლები+სახურავი), ღიობების შევსება ხდება თეთრი ფერის მეტალოპლასტმასით.

საპროექტო ტერიტორია მთლიანად კეთილმოეწყობა და მოპირკეთდება სხვადასხვა სახის ფილებით, მოეწყობა გამწვანება, შენობა აღიჭურვება ყველა სახის საინჟინრო ქსელებით, სისტემებით და მოწყობილობებით.

ობიექტი დაპროექტებულია თანამედროვე სტანდარტების, კანონმდებლობის და არქიტექტურული კონცეფციის მიხედვით.

1. სამუშაოების ორგანიზების რიგები და ეტაპები

I რიგის სამუშაოები:

I ეტაპი-მოსამზადებელი სამუშაოები

1.მოსამზადებელი სამუშაოები: მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, ვადის ათვლიდან უნდა განხორციელდეს ნებართვით მითითებული საჭირო შეთანხმებების და ნებართვების განხორციელება შესაბამისი სამსახურებიდან, ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს დროებითი ქსელების მოწყობა, სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო გამრიცხველიანებით და შესაბამისი საექსპლუატაციო სამსახურებიდან საჭირო ნებართვებით, ასევე უნდა მოეწყოს საჭიროების შემთხვევაში მექანიზმებისა და ავტოტრანსპორტისათვის გრუნტზე დროებითი მოხრეშილი გზები, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული დროებითი სატრანსპორტო სქემის გათვალისწინებით (იხ. შესაბამისი სატრანსპორტო დროებითი სქემა). ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს:

1.1 დროებითი შენობების მოწყობა-მონტაჟი უსაფრთხო ადგილას; დროებით სათავსებად (მუშების გარდერობი, გასახდელი, საპრარაბო, სველი წერტილები...); უნდა მოეწყოს მცირე ზომის დროებითი შენობები (ხის ან სხვა მსუბუქი კონსტრუქციებით) ან ამისათვის სამშენებლო ფირმამ უნდა უზრუნველყოს დროებითი ე.წ. ,,ვაგონეტკა'' საცხოვრებლების კომპლექტის შემოტანა-დადგმა, ყველა სამუშაო უნდა განხორციელდეს წითელი ხაზების ფარგლებში.

1.2. დროებითი ღობის მოწყობა- გარდა არსებული კაპიტალური ღობისა, სადაც დაზიანებული ან შესავსებია -უნდა მოეწყოს დროებითი ღობე ხის, ლითონის ფურცლების, ფანერის ან სხვა სახის მასალის გამოყენებით, ტროტუარის მხარეს გადახურვით, სურვილის შემთხვევაში შეღებილი, ღობეზე უნდა მოეწყოს მშენებლობის საინფორმაციო ბანერი. (გათვალისწინებულ უნდა იქნას საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული პირობები).

1.3. სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქსელებიდან, აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

1.4. უსაფრთხოების მიზნით სასურველია საპროექტო ტერიტორიაზე დრობითი განათების მოწყობა ღამის საათებში.

1.5. დემონტაჟი- ახალი მშენებლობის პროცესში, სამშენებლო სატრანსპორტო მოძრაობა უნდა განხორციელდეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული სატრანსპორტო სქემისა და ასევე მათი მითითებებისა და ნორმების მიხედვით, მშენებლობის დასრულების შემდეგ უნდა განხორციელდეს აღნიშნული დროებითი სატრანსპორტო სქემის მოხსნა და მოეწყოს ახალი შეთანხმებული სატრანსპორტო მოძრაობის მანიშნებლები.

1.6. საჭიროებისა და არსებობის შემთხვევაში (შესაბამისი მოკვლევის საფუძველზე) თუკი რაიმე მიწისქვეშა ქსელი იარსებებს ტერიტორიაზე, აუცილებელი იქნება შესაბიმისი ქსელის საექსპლუატაციო სამსახურთან შეთანხმება, შესაბამისად მათი პროექტებისა (მაგ. გადალაგების პროექტი) და ნებართვების მიხედვით სამუშაოების განხორციელება.

1.7. მოსამზადებელ პერიოდში გათვალიწინებულ უნდა იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მითითებები, შესაბამისად არსებულ ხე-ნარგავებზე განხორციელდება ქმედებები წარმოდგენილი დენდრო პროექტის შესაბამისად. ნაწილი ხეებისა დენდრო პროექტის მიხედვით უნდა

გადაირგოს, ნაწილზე უნდა განხორციელდეს დამცავი ღონისძიებები, ნაწილი უნდა მოიჭრას, საჭიროების მიხედვით უნდა გადაიბელოს ან გადაირგოს.

1.8. მშენებლობა უნდა იწარმოოს წითელი ხაზების ფარგლებში დროებითი ღობის შიგნით უსაფრთხოების ნორმების დაცვით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.9. მოსამზადებელ პერიოდში უნდა განხორციელდეს სადემონტაჟო შენობების დემონტაჟი და ტერიტორიის მომზადება ახალი მშენებლობისათვის, ამისათვის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს შემდეგი თანმიმდევრობით და მეთოდით:

#3/1 სადემონტაჟო შენობა- ერთსართულიანი

#3 სადემონტაჟო შენობის საერთო ფართი-451.3 მ^2

#3 სადემონტაჟო შენობის მაქსიმალური სიმაღლე - 6,40 გრძ.მ.

ყველა შენობა დემონტაჟის დაწყებამდე უნდა დაინამოს წყლით (პროცესშიც პერიოდულადაც უნდა დაინამოს) მტვრის თავიდან აცილების მიზმით. ამის შემდეგ სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით და სათანადო კომისიის დასწრებით. სამუშაოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული: ყველა კონსტრუქციის დროებითი გამაგრება (ხის დროებითი დამჭერი კოჭებით და შეფიცვრებით), მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით და სათვალეებით, (სიმაღლეებზე მუშების მოძრაობა-მუშაობის შემთხვევაში თითოეული მუშა უნდა იყოს დაბმული სპეც. დამჭერი თოკებით ვარდნის თავიდან აცილების მიზნით) ასევე ყველა ადამიანს უნდა აეკრძალოს კონსტრუქციების დემონტაჟის დროს მის ქვეშ ყოფნა ან გავლა); ნაგვის გატანა სპეციალური ავტოამწეების და ავტოთვითმცელების საშუალებით. აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ. ნაგვის ტრანსპორტირების სვლა-გეზი უნდა შეთანხმდეს ქალაქის საგზაო პატრულთან. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში

უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციების გამაგრება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში.

№3 შენობა აგებულია ნაწილობრივ ბლოკის, აგურისა და ნაწილობრივ რკინაბეტონის წყობის კონსტრუქციით, თავდაპირველად უნდა დაიცალოს შენობა მასში განთავსებული ინვენტარის, მექანიზმების და ა. შ. სხვადასხვა ნივთებისაგან, შემდეგ უნდა ჩაიჭრას ყველა საინჟინრო ქსელი და მოწყობილობა. ქსელების ჩაჭრის შემდეგ უნდა განხორციელდეს კარ-ფანჯრების დემონტაჟი ლითონის გისოსებთან ერთად, შემდეგ შევსებული ღიობების დემონტაჟი-ფანჯრები, ვიტრაჟები, კარები, მინაბლოკის შევსებების დემონტაჟი. პარალელურად უნდა განხორციელდეს შიდა ზედაპირების მოპირკეთებების მოხსნა (კედლების, იატაკის, ჭერების ფენილები) შემდეგ სახურავის ფენილის დემონტაჟი წყალგადამყვან სისტემასთან ერთად (ჟოლობები, მილები, ღარები, ძაბრები...), შემდეგ უნდა განხორციელდეს სახურავის ფენილის ქვეშ ხის სანივნივე სისტემის დემონტაჟი. შემდეგ დაიწყოს ზევიდან ქვევით ტიხრების დემონტაჟი, გარე ბლოკით და სილიკატური აგურით შევსებული კედლების დემონტაჟი. უნდა გაშიშვლდეს მთლიანად შენობის კარკასი. ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს ანაკრები გადახურვის ფილების დემონტაჟი ერთი მხრიდან მიმდევრობით, მონოლითური რკინაბეტონის ანაკრები ფილები დემონტირდება ამწე მექანიზმების გამოყენებით. ამწე მექანიზმებით უნდა მოხდეს თითოეული ანაკრები კონსტრუქციის დაჭერა სპეციალური ე.წ. ტროსებით ან თოკებით და შემდეგ უნდა ჩაიჭრას გადაბმებში ანაკრები

კონსტრუქცია, მოხსნილი კონსტრუქცია ისევ ამწის გამოყენებით უნდა დაწყობილ იქნას მიმდებარე ტერიტორიაზე ან მანქანა მექანიზმებზე. ანაკრები კონსტრუქციების მოხსნის პერიოდში მათ ქვეშ მუშა-მოსამსახურეთა მოძრაობა სასტიკად აკრძალულია. თავად ანაკრები კონსტრუქციების ჩაჭრაში მონაწილე მუშები დაბმულ უნდა იქნას სპეც. უსაფრთხოების თოკებით და სასურველია ამწე კალათებზე მათი განთავსება. გადახურვის ფილების მსგავსად მათი დემონტაჟის შემდეგ დემონტირდება გარე ე.წ. ანაკრები „სინკარის“ კედლები, შემდეგ კარკასი (რიგელები, სვეტები), შემდეგ საძირკვლები, ანაკრები კონსტრუქციების შემთხვევაში დემონტაჟი განხორციელდება ზემოთაღწერილი მეთოდით, შენობაში მონოლითური კონსტრუქციების შემთხვევაში ფრაგმენტულად დაიბურღება ხელის საბურღი მექანიზმით ნაწილ-ნაწილ ფრაგმენტებად მონოლითური კონსტრუქცია, არმირების გაშიშვლების შემდეგ მაქს. 2-3 მ^2 ფართის არმირება უნდა დაჭერილ იქნას ამწეზე გამობმით, შემდეგ გამობმულ დაჭერილი სექციის ხელის მექანიზმებით ჩაჭრა უნდა განხორციელდეს, ჩაჭრილ-მოხსნილი სექცია უნდა განთავსდეს ავტოთვითმცლელზე და გატანილ იქნას ტერიტორიიდან. ასე უნდა განხორციელდეს მიმდევრობით შემდეგი სექციებიც. შენობის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს შენობის ქვეშ მიწის ნიშნულამდე. მსგავსი მეთოდებით უნდა დემონტირდეს სხვა მიმდებარე შენობებიც.

#4/1 სადემონტაჟო შენობა- ერთსართულიანი

#4 სადემონტაჟო საერთო ფართი-99,9 მ^2

#4 სადემონტაჟო შენობის მაქსიმალური სიმაღლე - 3,40 გრძ.მ.

#7/1 სადემონტაჟო შენობა- ერთსართულიანი

#7 სადემონტაჟო საერთო ფართი-30,7 მ^2

№7 სადემონტაჟო შენობის მაქსიმალური სიმაღლე - 4 გრძ.მ.

#4 და №7 არის საერთო კედლით გადაბმული შენობა, რომლის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ერთიანად №3 შენობის მსგავსად ზემოთაღწერილი მეთოდით და მიმდევრობით.

№6 სადემონტაჟო შენობა- ერთსართულიანი მინაშენი

№6 სადემონტაჟო საერთო ფართი-24 მ^2

#6 სადემონტაჟო შენობის მაქსიმალური სიმაღლე - 4,8გრძ.მ.

#6 შენობის მინაშენი უნდა დემონტირდეს ასევე #3 შენობის დემონტაჟის მსგავსად.

№8 სადემონტაჟო შენობა- ერთსართულიანი

№8 სადემონტაჟო საერთო ფართი-24,1 მ^2

№8 სადემონტაჟო შენობის მაქსიმალური სიმაღლე -2,65 გრძ.მ.

შენობა ნაწილობრივ დანგრეულია, თავდაპირველად უნდა მოიხსნას ხის დაზიანებული სახურავი, შემდეგ ხელით მოიხსნას ამოშენებული კედლები, ბოლოს უნდა მოიხსნას იატაკი საძირკვლებთან ერთად.

შენობების დემონტაჟების პარალელურად და დასასრულს უნდა განხორციელდეს ყველა კონსტრუქციისა და ზედმეტი ნაგვის გატანა ობიექტიდან, ტერიტორია მთლიანად უნდა მოსუფთავდეს და მომზადებულ იქნას ახალი მშენებლობისათვის.

დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ინჟინერ-სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ.

კატეგორიულად უნდა აიკრძალოს მუშა-მოსამსახურეთა მოძრაობა სადემონტაჟო კონსტრუქციების ქვეშ.

სამსენებლო ნაგვის გატანა უნდა განხორციელდეს ავტოთვითმცლელებით სპეციალურ ნაგავსაყრელზე.

II ეტაპი

დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება

2.1. მოსამზდებელი სამუშაოების და სადემონტაჟო გასასუფთავებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ წარმოებს შენობა-ნაგებობის ღერძული დაკვალვა და მისის მიბმა რეპერებთან, რაც სრულდება სპეციალისტთა მონაწილეობით და სათანადო აქტის შედგენით.

2.2. თავდაპირველად ამაგრებენ დაკვალვის გარე ქსელს სამშენებლო მოედანზე ნახაზზე მიღებული ღერძების გადატანით ნატურაში, სანიველირო და დგომითი დაკვალვის წერტილები უნდა იყოს გაერთიანებული.

2.3.ელემენტებისა და კონსტრუქციების გეგმიური და მაღლივი მდგომარეობა, მათი ვერტიკალურობა, ჩასატანებელი დეტალების დაყენების სიზუსტე მოწმდება შენობის შიდა დაკვალვის ნიშნულებიდან.

II რიგის სამუშაოები:

III ეტაპი

"7-12" ღერძებში ახალი საწყობის შენობის

მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობის სამუშაოები, საძირკვლების მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულის ზევით, სახურავის მოწყობის სამუშაოები

3.1. მიწის სამუშაოების განხორციელება უნდა დაიწყოს სადემონტაჟო გასასუფთავებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ. მიწის სამუშაოების შესრულების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინსტრუმენტალური კონტროლო. გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის დარღვევა სასურველი არ არის. ქვაბულის ძირში გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის შენარჩუნება აუცილებელია.

3.2. მიწის სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ბუნებრივი ქვაბულების დახრის გათვალისწინებით, შენობის ქვეშ ქვაბულის მიწის სამუშაოები უნდა იწარმოოს მიმდევრობით შემდეგნაირად:

I -სასურველია მოიხსნას მიწისზედა ჰუმუსირებული ფენა და დასაწყობებულ იქნას ტერიტორიაზე შემდგომში კეთილმოწყობაში გამოსაყენებლად.

II- ჰუმუსის მოხსნის შემდეგ განხორციელდება ქვაბულის ამოღება წერტილოვანი საძირკვლებისა და შემკრავი რიგელებისათვის, საპროექტო ნიშნულებამდე შესაძლებელია თითოეული საძირკვლის ქვაბული დამუშავდეს და გასწორდეს ხელით. აუცილებელია არსებული #1 შენობის მიმდებარე ქვაბულები მოეწყოს დიდი სიფრთხილით, მაქსიმალურად ხელის მექანიზმების გამოყენებით (მძიმე ტექნიკის გარეშე) მიწის ამოღების პარალელურად, ამოღებული მიწა ავტოთვითმცლელებზე დაიტვირთება და გატანილ იქნება ობიექტიდან.

3.3. მიწის სამუშაოების დასრულების შემდეგ საძირკვლების მოწყობის წინ ქვაბულში უნდა ჩატარდეს შენობის ღერძული დაკვალვა საკადასტრო რუკით გამოყოფილ წითელ ხაზებთან შეთავსებით, ღერძების დამაგრება აუცილებელია უძრავ ელემენტებზე, როგორც წესი ამ დანიშნულებით გამოიყენება დროებითი ღობე.

3.4. მიწის სამუშაოების წარმოება აუცილებელია ინჟინერ-გეოლოგის სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე აუცილებელია ყველა ეტაპზე პროექტის მთავარი კონსტრუქტორის შეთანხმებები.

3.5. საძირკვლების ქვაბულების მოწყობის შემდეგ თავდაპირველად უნდა მოიტკეპნოს წერტილოვანი საძირკვლების ქვეშ ქვაბულის ძირი ხელის სატკეპნით, შემდეგ შემკრავი კოჭები-რიგელების ქვეშ ქვაბულების ძირები სხვადასხვა ნიშნულებზე მექანიკური სატკეპნით, შემდეგ უნდა მოეწყოს ზედ ბუნებრივი ფენილით ინერტული მასალის, კერძოდ ღორღის ბალიში, ფენობრივად დატკეპნილი შესაბამისი ტექნოლოგიით. მისი დატკეპნის შემდეგ სასურველია დაეფინოს ზედ ჰიდროსაიზოლაციო პოლიეთილენის ფირი, შემდეგ მოეწყოს ბეტონის მომასწორებელი-მოსამზადებელი ფენა პროექტში მითითებული სისქეების მიხედვით, ბეტონით ბ15 (პომპის გამოყენების შემთხვევაში გამტარიანობის გათვალისწინებით).

3.6.საფუძვლების მოწყობა-გაშრობის შემდეგ უნდა განხორციელდეს მიმდევრობით საძირკვლების მოწყობა.

3.7.თავდაპირველად უნდა განხორციელდეს წერტილოვანი საძირკვლების მოწობა (შესაბამისი ხის საყალიბე სისტემით+არმირება+დაბეტონება), შემდეგ მათი შემკრავი კოჭების-რიგელების მოწყობა კონსტ. ნიშნულზე. საძირკვლისათვის გამოყენებულ უნდა იქნას სულფატომედეგი ცემენტით ბეტონი მარკით ბ25.

3.8.საძირკვლების ძირის ნიშნულებიც ასევე კონტროლდება გეოდეზიური ინსტრუმენტების გამოყენებით-ნიველირით ან თეოდოლიტით. შემოწმების შედეგები უნდა ფიქსირდებოდეს

გეოდეზიურ კონტროლის ჟურნალში და უნდა შედგეს შესაბამისი დაკვალვის აქტები.

3.9. საძირკვლების მოწყობა-გაშრობის შემდეგ უნდა განხორციელდეს 0,00 ნიშნულამდე მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების ამოყვანა (ხის საყალიბე სისტემით+არმირებით+დაბეტონებით) მათი დასრულება-გაშრობის შემდეგ მიწასთან კონტაქტში მყოფ ყველა კონსტრუქციას გარე პერიმეტრზე უნდა გაუკეთდეს თანამედროვე მასალით ჰიდროიზოლაცია შესაბამისი ტექნოლოგიურობის დაცვით. ჰიდროსაიზოლაციო ფენის გაშრობის შემდეგ უნდა მოეწყოს მისი დამცავი ფენილი ფუნდალინით, ხის ფანერით ან რაიმე ალტერნატიული მასალით, რათა არ მოხდეს ფიზიკურად დაზიანება ჰიდროსაიზოლაციო ფენის. ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს მიწის და შემოტანილი ბალასტის უკუჩაყრა და ფენობრივად დატკეპვნა შესაბამის ადგილებში.

3.10.მონოლითური რკინაბეტონის ყველა კონსტრუქციისათვის წინასწარ უნდა მომზადდეს ხის ყალიბი, შემდეგ პროექტის მიხედვით ჩაეწყოს მასში ლითონის არმირებული კარკასი და ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს თითოეული კონსტრუქციის დაბეტონება უწყვეტად ჰორიზონტალური მიმართულებით და დაბეტონების ტექნოლოგიის სრული დაცვით, ვიბრატორის გამოყენებით. დაბეტონებისას კონტროლი უნდა გაეწიოს მარკას, ვიბრირებას, დაბეტონების ხარისხს, შესრულების პროცესებს ნორმატივების და კანონმდებლობის შესაბამისად .

3.11. სასურველია დაბეტონების პროცესი შეთანხმდეს პროექტის კონსტრუქტორთან და პერიოდულად სხვადასხვა კონსტრუქციის დაბეტონების დროს შედგეს დაფარული სამუშაოების აქტები შესაბამისი კომპეტენტური ზედამხედველებისა და მშენებლების დასტური-ხელმოწერით, ასევე დაფიქსირებული ფოტოფიქსაციით.

3.12. 0,00ნიშნულზე შენობის შემდეგ უნდა განხორციელდეს მიწისზედა ლითონის კარკასის მონტაჟი-სვეტები, ვერტიკალები, რიგელები, გამბჯენები, კავშირები, სახურავის სანივნივე სისტემა და ა. შ. (ყველა კონსტრუქცია უნდა მოეწყოს შესაბამის ნიშნულებზე)

დამონტაჟებამდე ლითონკონსტრუქციები წინასწარ უნდა იყოს დამზადებული, დანომრილი, შეღებილი და ადგილზე მოხდეს მისი ავტოამწის გამოყენებით აწყობა. ლითონკონსტრუქცია უნდა იქნას დამუშავებული, დაფარული ანტიკოროზიული და ცეცხლდამცავი ხსნარებით, შემდეგ შეღებილი ცეცხლდამცავი მაღალი ხარისხის ლითონის თანამედროვე საღებავით. ლითონის კარკასის (სახურავთან ერთად) სახურავის სანივნივე სისტემის გაშრობა-დასრულების შემდეგ ლითონის კონსტრუქციაზე მოეწყობა შესაბამისი ხის სანივნივე სისტემა-შეფიცვრით, ზედ დათბუნებისა და ჰიდროსაიზოლაციო ფენილის დაფენით, შემდეგ შეივსება ე.წ. „სენდვიჩპანელებით“.

3.13.სახურავების ფენილების მოწყობასთან ერთად უნდა განხორციელდეს წყალშემკრები და წყალჩამომყვანი სისტემის მონტაჟი.

3.14. შენობის აგებაზე სამუშაოთა ჩასატარებლად მიწისზედა სამუშაოების წარმოება რეკომენდირებულია მობილური ამწის გამოყენებით და ე.წ. ამწეკალათების გამოყენებით.

3.15 კარკასის დასრულების პარალელურად ყველა ღია ადგილი უნდა იყოს შემოსაზღვრული უსაფრთხოების ლენტებით ან ბადეებით სანამ კედლები იქნება ამოყვანი, სასურველია ღამის (ლენტური) განათების მოწყობა ფასადებზე.

IV ეტაპი

"7-12" ღერძებში საწყობის შენობის - არამზიდი კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები

4.1. ლითთონის კარკასის (სახურავთან ერთად) დასრულების შემდეგ უნდა განხორციელდეს გარე კედლების შევსება თეთრი ფერის ე.წ. „სენდვიჩპანელებით“, შემდეგ უნდა განხორციელდეს იატაკის მოწყობა სპეც. სასაწყობო ფუნქციისათვის. შემდეგ უნდა განხორციელდეს შიდა

საინჟინრო ქსელების მონტაჟი, მოეწყოს შახტები, დგარები და შიგ ჩალაგდეს ქსელები, ყველა სამუშაო უნდა განხორციელდეს საინჟინრო პროექტის მიხედვით (ელექტროობის, სუსტი დენების, გათბობის, ვენტილაციის და ა. შ პროექტების მიხედვით)

4.2.კედლების ამოყვანის შემდეგ შენობაში უნდა დამონტაჟდეს პროექტის მიხედვით და პროექტის ავტორთან შეთანხმებული სხვადასხვა თანამედროვე მექანიზმებით აღჭურვილი კარებები, თეთრი ფერის მეტალოპლასტმასის ფანჯრები და ვიტრაჟები ორმაგი მინაპაკეტით შემინული (საკეტებით და მოწყობილობებით);

4.3 შენობის ირგვლივ უნდა მოეწყოს სარინელი ბეტონით (ქვეშ მოსამზადებელი ფენებით). სასურველია ბეტონის სარინელის მოპირკეთებაც არასრიალა ფილებით. სარილეტან ერტად უნდა მოეწყოს პანდუსები ლითონის მოაჯირებით, მოაჯირები უნდა დამუშავდეს, დაიგრუნტოს და შეიღებოს ზეთოვანი საღებავით.

V ეტაპი

დაცვის ჯიხური

მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობის სამუშაოები, საძირკვლების მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულის ზევით, სახურავის მოწყობა,არამზიდი კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები

5.1. ტერიტორიაზე გათვალისწინებულია დაცვის ჯიხურის მშენებლობა, მიწის სამუშაოების წარმოება უნდა იწარმოოს მექანიზმების გამოყენებით, ქვაბული უნდა მოეწყოს ბუნებრივი დახრის კუთხით, საპროექტო ნიშნულებამდე ქვაბული შესაძლებელია დამუშავდეს და

გასწორდეს ხელით. პარალელურად ამოღებული მიწა ავტოთვითმცლელებზე დაიტვირთება და გატანილ იქნება ობიექტიდან.

5.2. მიწის სამუშაოების დასრულების შემდეგ საძირკვლების მოწყობის წინ ქვაბულში უნდა ჩატარდეს შენობის ღერძული დაკვალვა საკადასტრო რუკით გამოყოფილ წითელ ხაზებთან შეთავსებით, ღერძების დამაგრება აუცილებელია უძრავ ელემენტებზე, როგორც წესი ამ დანიშნულებით გამოიყენება დროებითი ღობე.

5.3. მიწის სამუშაოების წარმოება აუცილებელია ინჟინერ-გეოლოგის სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე აუცილებელია ყველა ეტაპზე პროექტის მთავარი კონსტრუქტორის შეთანხმებები.

5.4. ქვაბულის მოწყობის შემდეგ უნდა მოიტკეპნოს ქვაბულების ძირი მექანიკური სატკეპნით, მოეწყოს ზედ ბუნებრივი ფენილით ინერტული მასალის კერძოდ ხვინჭით ბალიში, ფენობრივად დატკეპნილი შესაბამისი ტექნოლოგიით. მისი დატკეპნის შემდეგ უნდა მოეწყოს ზედ ბეტონის მომასწორებელი-მოსამზადებელი ფენა პროექტში მითითებული სისქეების (10სმ) მიხედვით, წყალშეუღწევადი ბეტონით ბ15 (პომპის გამოყენების შემთხევაში გამტარიანობის გათვალისწინებით). ბეტონის მომზადების გაშრობის შემდეგ უნდა მოეწყოს ზედ ჰიდროსაიზოლაციო ფენილი თანამედროვე მასალის გამოყენებით.

5.5.საფუძვლების მომზადება-მოწყობის შემდეგ უნდა განხორციელდეს მონოლითური რკინაბეტონის ფილოვანი საძირკველის მოწყობა (შესაბამისი საყალიბე სისტემით, ჯერ უნდა მოეწყოს არმირება, შემდეგ დაბეტონება) საძირკვლისათვის გამოყენებულ უნდა იქნას სულფატომედეგი ცემენტით ბეტონი მარკით წყალშეუღწევადი ბ25. საძირკვლების გაშრობის შემდეგ უნდა განხორციელდეს მიწასთან კონტაქტში მყოფი კონსტრუქციების დაფარვა ჰიდროსაიზოლაციო ფენილით, ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს ირგვლივ სივრცის შევსება შემოტანილი ინერტული მასალით ფილამდე. რომელიც უნდა დაიტკეპნოს ფენობრივად.

5.6.0,00ნიშნულის ზევით უნდა განხორციელდეს მონოლითური რკინაბეტონის კარკასის ამოყვანა საალიბე მასალის გამოყენებით, კარკასი გაშრობის სემდეგ უნდა შეივსოს გარე ბლოკის წყობით ენერგოეფექტურობის კვანზების მიხედვით, შემდეგ უნდა განხორციელდეს სახურავის ფენილის მოწყობა ხის სანივნივე სსიტემაზე მოწყობილი თუნუქის ფენილით, შემდეგ უნდა განხორციელდეს გარე ფასადების მოპირკეთებები, შიდა სარემონტო-მოსაპირკეთებელი სამუშაოები, პარალელურად შიდა საინჟინრო ქსელების მოწყობა და მოწყობილობების მონტაჟი.

V I ეტაპი

წყლის რეზერვუარი

მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობის სამუშაოები, საძირკვლების მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულის ზევით, სახურავის მოწყობა, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები

6.1. რეზერვუარის მიწის სამუშაოების წარმოება უნდა იწარმოოს მექანიზმების გამოყენებით, ქვაბული უნდა მოეწყოს ბუნებრივი დახრის კუთხით - ჩასასვლელი პანდუსით. საპროექტო ნიშნულებამდე ქვაბული შესაძლებელია დამუშავდეს და გასწორდეს ხელით. პარალელურად ამოღებული მიწა ავტოთვითმცლელებზე დაიტვირთება და გატანილ იქნება ობიექტიდან.

6.2. მიწის სამუშაოების დასრულების შემდეგ საძირკვლების მოწყობის წინ ქვაბულში უნდა ჩატარდეს შენობის ღერძული დაკვალვა საკადასტრო რუკით გამოყოფილ წითელ ხაზებთან შეთავსებით, ღერძების დამაგრება აუცილებელია უძრავ ელემენტებზე, როგორც წესი ამ დანიშნულებით გამოიყენება დროებითი ღობე.

6.3. მიწის სამუშაოების წარმოება აუცილებელია ინჟინერ-გეოლოგის სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე აუცილებელია ყველა ეტაპზე პროექტის მთავარი კონსტრუქტორის შეთანხმებები.

6.4.ქვაბულის მოწყობის შემდეგ უნდა მოიტკეპნოს ქვაბულების ძირი მექანიკური სატკეპნით, მოეწყოს ზედ ბუნებრივი ფენილით ინერტული მასალის კერძოდ ხვინჭით ბალიში, ფენობრივად დატკეპნილი შესაბამისი ტექნოლოგიით. მისი დატკეპნის შემდეგ უნდა მოეწყოს ზედ ბეტონის მომასწორებელი-მოსამზადებელი ფენა პროექტში მითითებული სისქეების (10სმ) მიხედვით, წყალშეუღწევადი ბეტონით ბ25 (პომპის გამოყენების შემთხვევაში გამტარიანობის გათვალისწინებით). ბეტონის მომზადების გაშრობის შემდეგ უნდა მოეწყოს ზედ ჰიდროსაიზოლაციო ფენილი თანამედროვე მასალის გამოყენებით.

6.5.საფუძვლების მომზადება-მოწყობის შემდეგ უნდა განხორციელდეს მონოლითური რკინაბეტონის ფილოვანი საძირკველის მოწყობა (შესაბამისი საყალიბე სისტემით, ჯერ უნდა მოეწყოს არმირება, შემდეგ დაბეტონება) საძირკვლისათვის გამოყენებულ უნდა იქნას სულფატომედეგი ცემენტით ბეტონი მარკით წყალშეუღწევადი ბ25. საძირკვლების გაშრობის შემდეგ უნდა განხორციელდეს მიწასთან კონტაქტში მყოფი კონსტრუქციების დაფარვა ჰიდროსაიზოლაციო ფენილით, ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს ირგვლივ სივრცის შევსება შემოტანილი ინერტული მასალით ფილამდე. რომელიც უნდა დაიტკეპნოს ფენობრივად.

6.6. 0,00 ნიშნულამდე სენობის ამოყვანის სემდეგ უნდა განხორციელდეს მიწისზედა ნაწილის მსენებლობა არქიტექტურული პროექტის მიხედვიტ, მიწისზევითვე უნდა განტავსდეს წყლის რეზერვუარი საინჟინრო ქსელების მონტაჟით.

VII ეტაპი

ტერიტორიაზე არსებული №1 შენობის სრული დემონტაჟი და ტერიტორიის მომზადება ახალი მშენებლობისათვის

#1/1 სადემონტაჟო შენობა- ერთსართულიანი

#1/1 სადემონტაჟო შენობის საერთო ფართი-2760,8 მ^2

#/1/1 სადემონტაჟო შენობის მაქსიმალური სიმაღლე - 9,02 გრძ.მ.

შენობა დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაინამოს წყლით (პროცესშიც პერიოდულადაც უნდა დაინამოს) მტვრის თავიდან აცილების მიზმით. ამის შემდეგ სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით და სათანადო კომისიის დასწრებით. სამუშაოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული: ყველა კონსტრუქციის დროებითი გამაგრება (ხის დროებითი დამჭერი კოჭებით და შეფიცვრებით), მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით და სათვალეებით, (სიმაღლეებზე მუშების მოძრაობა-მუშაობის შემთხვევაში თითოეული მუშა უნდა იყოს დაბმული სპეც. დამჭერი თოკებით ვარდნის თავიდან აცილების მიზნით) ასევე ყველა ადამიანს უნდა აეკრძალოს კონსტრუქციების დემონტაჟის დროს მის ქვეშ ყოფნა ან გავლა); ნაგვის გატანა სპეციალური ავტოამწეების და ავტოთვითმცელების საშუალებით. აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ. ნაგვის ტრანსპორტირების სვლა-გეზი უნდა შეთანხმდეს ქალაქის საგზაო პატრულთან. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციების გამაგრება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში.

№1 შენობა აგებულია ნაწილობრივ ბლოკის, აგურისა და ნაწილობრივ რკინაბეტონის წყობის კონსტრუქციით, თავდაპირველად უნდა დაიცალოს შენობა მასში განტავსებული ინვენტარის, მექანიზმების და ა.

შ. სხვადასხვა ნივთებისაგან. შემდეგ უნდა ჩაიჭრას ყველა საინჟინრო ქსელი და მოწყობილობა. ქსელების ჩაჭრის შემდეგ უნდა განხორციელდეს კარ-ფანჯრების დემონტაჟი ლითონის გისოსებთან ერთად, შემდეგ შევსებული ღიობების დემონტაჟი (ფანჯრები, ვიტრაჟები, კარები, მინაბლოკის შევსებების დემონტაჟი. პარალელურად უნდა განხორციელდეს შიდა ზედაპირების მოპირკეთებების მოხსნა (კედლების, იატაკის, ჭერების ფენილები) შემდეგ სახურავის ფენილის დემონტაჟი წყალგადამყვან სისტემასთან ერთად (ჟოლობები, მილები, ღარები, ძაბრები...), შემდეგ უნდა განხორციელდეს სახურავის ფენილის ქვეშ ხის სანივნივე სისტემის დემონტაჟი. შემდეგ დაიწყოს ზევიდან ქვევით ტიხრების დემონტაჟი, გარე ბლოკით და სილიკატური აგურიტ შევსებული კედლების დემონტაჟი. უნდა გაშიშვლდეს მთლიანად შენობის კარკასი. ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს ანაკრები გადახურვის ფილების დემონტაჟი ერთი მხრიდან მიმდევრობით, მონოლითური რკინაბეტონის ანაკრები ფილები დემონტირდება ამწე მექანიზმების გამოყენებით. ამწე მექანიზმებით უნდა მოხდეს თითოეული ანაკრები კონსტრუქციის დაჭერა სპეციალური ე.წ. ტროსებით ან თოკებით და შემდეგ უნდა ჩაიჭრას გადაბმებში ანაკრები კონსტრუქცია, მოხსნილი კონსტრუქცია ისევ ამწის გამოყენებით უნდა დაწყობილ იქნას მიმდებარე ტერიტორიაზე ან მანქანა მექანიზმებზე. ანაკრები კონსტრუქციების მოხსნის პერიოდში მათ ქვეშ მუშა-მოსამსახურეთა მოძრაობა სასტიკად აკრძალულია. თავად ანაკრები კონსტრუქციების ჩაჭრაში მონაწილე მუშები დაბმულ უნდა იქნას სპეც. უსაფრთხოების თოკებით და სასურველია ამწე კალათებზე

მათი განთავსება. გადახურვის ფილების მსგავსად მათი დემონტაჟის შემდეგ დემონტირდება გარე ე.წ. ანაკრები „სინკარის“ კედლები, შემდეგ კარკასი (რიგელები, სვეტები), შემდეგ საძირკვლები, ანაკრები კონსტრუქციების შემთხვევაში დემონტაჟი განხორციელდება ზემოთაღწერილი მეთოდით, შენობაში მონოლითური კონსტრუქციების შემთხვევაში ფრაგმენტულად დაიბურღება ხელის საბურღი მექანიზმით ნაწილ-ნაწილ ფრაგმენტებად მონოლითური კონსტრუქცია, არმირების გაშიშვლების შემდეგ მაქს. 2-3 მ^2 ფართის არმირება უნდა დაჭერილ იქნას ამწეზე გამობმით, შემდეგ გამობმულ დაჭერილი სექციის ხელის მექანიზმებით ჩაჭრა უნდა განხორციელდეს, ჩაჭრილ-მოხსნილი სექცია უნდა განთავსდეს ავტოთვითმცლელზე და გატანილ იქნას ტერიტორიიდან. ასე უნდა განხორციელდეს მიმდევრობით შემდეგი სექციებიც. შენობის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს შენობის ქვეშ მიწის ნიშნულამდე. მსგავსი მეთოდებით უნდა დემონტირდეს სხვა მიმდებარე შენობებიც.

V I I I ეტაპი

"1-7" ღერძებში საწყობის შენობის-მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობის სამუშაოები, საძირკვლების მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულის ზევით, სახურავის მოწყობის სამუშაოები

8.1.“1-7“ ღერძებში შენობის მშენებლობა უნდა განხორციელდეს მესამე ეტაპის -„7-12“ ღერძებში მშენებლობის იდენტურად.

8.2.მიწის სამუშაოები უნდა განხორციელდეს მექანიზმით, აუცილებელია „7“ ღერძთან შენობის მიმდებარედ ქვაბული მოეწყოს დიდი სიფრთხილით, მაქსიმალურად ხელის მექანიზმების გამოყენებით (მძიმე ტექნიკის გარეშე) მიწის ამოღების პარალელურად, ამოღებული მიწა ავტოთვითმცლელებზე დაიტვირთება და გატანილ იქნება ობიექტიდან.

8.3. მიწის სამუშაოების დასრულების შემდეგ საძირკვლების მოწყობის წინ ქვაბულში უნდა ჩატარდეს შენობის ღერძული დაკვალვა საკადასტრო რუკით გამოყოფილ წითელ ხაზებთან შეთავსებით, ღერძების დამაგრება აუცილებელია უძრავ ელემენტებზე, როგორც წესი ამ დანიშნულებით გამოიყენება დროებითი ღობე.

8.4. მიწის სამუშაოების წარმოება აუცილებელია ინჟინერ-გეოლოგის სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე აუცილებელია ყველა ეტაპზე პროექტის მთავარი კონსტრუქტორის შეთანხმებები.

8.5. საძირკვლების ქვაბულების მოწყობის შემდეგ თავდაპირველად უნდა მოიტკეპნოს წერტილოვანი საძირკვლების ქვეშ ქვაბულის ძირი ხელის სატკეპნით, შემდეგ შემკრავი კოჭები-რიგელების ქვეშ ქვაბულების ძირები სხვადასხვა ნიშნულებზე მექანიკური სატკეპნით, შემდეგ უნდა მოეწყოს ზედ ბუნებრივი ფენილით ინერტული მასალის, კერძოდ ღორღის ბალიში, ფენობრივად დატკეპნილი შესაბამისი ტექნოლოგიით. მისი დატკეპნის შემდეგ სასურველია დაეფინოს ზედ ჰიდროსაიზოლაციო პოლიეთილენის ფირი, შემდეგ მოეწყოს ბეტონის

მომასწორებელი-მოსამზადებელი ფენა პროექტში მითითებული სისქეების მიხედვით, ბეტონით ბ15 (პომპის გამოყენების შემთხვევაში გამტარიანობის გათვალისწინებით).

8.6.საფუძვლების მოწყობა-გაშრობის შემდეგ უნდა განხორციელდეს მიმდევრობით საძირკვლების მოწყობა.

8.7.თავდაპირველად უნდა განხორციელდეს წერტილოვანი საძირკვლების მოწობა (შესაბამისი ხის საყალიბე სისტემით+არმირება+დაბეტონება), შემდეგ მათი შემკრავი კოჭების-რიგელების მოწყობა კონსტ. ნიშნულზე. საძირკვლისათვის გამოყენებულ უნდა იქნას სულფატმედეგი ცემენტით ბეტონი მარკით ბ25.

8.8.საძირკვლების ძირის ნიშნულებიც ასევე კონტროლდება გეოდეზიური ინსტრუმენტების გამოყენებით-ნიველირით ან თეოდოლიტით. შემოწმების შედეგები უნდა ფიქსირდებოდეს გეოდეზიურ კონტროლის ჟურნალში და უნდა შედგეს შესაბამისი დაკვალვის აქტები.

8.9. საძირკვლების მოწყობა-გაშრობის შემდეგ უნდა განხორციელდეს 0,00 ნიშნულამდე მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების ამოყვანა (ხის საყალიბე სისტემით+არმირებით+დაბეტონებით) მათი დასრულება-გაშრობის შემდეგ მიწასთან კონტაქტში მყოფ ყველა კონსტრუქციას გარე პერიმეტრზე უნდა გაუკეთდეს თანამედროვე მასალით ჰიდროიზოლაცია შესაბამისი ტექნოლოგიურობის დაცვით. ჰიდროსაიზოლაციო ფენის გაშრობის შემდეგ უნდა მოეწყოს მისი დამცავი ფენილი ფუნდალინით, ხის ფანერით ან რაიმე ალტერნატიული მასალით, რათა არ მოხდეს ფიზიკურად დაზიანება ჰიდროსაიზოლაციო ფენის. ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს მიწის და შემოტანილი ბალასტის უკუჩაყრა და ფენობრივად დატკეპვნა შესაბამის ადგილებში.

8.10.მონოლითური რკინაბეტონის ყველა კონსტრუქციისათვის წინასწარ უნდა მომზადდეს ხის ყალიბი, შემდეგ პროექტის მიხედვით ჩაეწყოს მასში ლითონის არმირებული კარკასი და ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს თითოეული კონსტრუქციის დაბეტონება უწყვეტად ჰორიზონტალური მიმართულებით და

დაბეტონების ტექნოლოგიის სრული დაცვით, ვიბრატორის გამოყენებით. დაბეტონებისას კონტროლი უნდა გაეწიოს მარკას, ვიბრირებას, დაბეტონების ხარისხს, შესრულების პროცესებს ნორმატივების და კანონმდებლობის შესაბამისად .

8.11. სასურველია დაბეტონების პროცესი შეთანხმდეს პროექტის კონსტრუქტორთან და პერიოდულად სხვადასხვა კონსტრუქციის დაბეტონების დროს შედგეს დაფარული სამუშაოების აქტები შესაბამისი კომპეტენტური ზედამხედველებისა და მშენებლების დასტური-ხელმოწერით, ასევე დაფიქსირებული ფოტოფიქსაციით.

8.12. 0,00ნიშნულზე შენობის შემდეგ უნდა განხორციელდეს მიწისზედა ლითონის კარკასის მონტაჟი-სვეტები, ვერტიკალები, რიგელები, გამბჯენები, კავშირები, სახურავის სანივნივე სისტემა და ა. შ. (ყველა კონსტრუქცია უნდა მოეწყოს შესაბამის ნიშნულებზე)

დამონტაჟებამდე ლითონკონსტრუქციები წინასწარ უნდა იყოს დამზადებული, დანომრილი, შეღებილი და ადგილზე მოხდეს მისი ავტომაწის გამოყენებით აწყობა. ლითონკონსტრუქცია უნდა იქნას დამუშავებული, დაფარული ანტიკოროზიული და ცეცხლდამცავი ხსნარებით, შემდეგ შეღებილი ცეცხლდამცავი მაღალი ხარისხის ლითონის თანამედროვე საღებავით. ლითონის კარკასის (სახურავთან ერთად) სახურავის სანივნივე სისტემის გაშრობა-დასრულების შემდეგ ლითონის კონსტრუქციაზე მოეწყობა შესაბამისი ხის სანივნივე სისტემა-შეფიცვრით, ზედ დათბუნებისა და ჰიდროსაიზოლაციო ფენილის დაფენით, შემდეგ შეივსება ე.წ. „სენდვიჩპანელებით“.

8.13.სახურავების ფენილების მოწყობასთან ერთად უნდა განხორციელდეს წყალშემკრები და წყალჩამომყვანი სისტემის მონტაჟი.

8.14. შენობის აგებაზე სამუშაოთა ჩასატარებლად მიწისზედა სამუშაოების წარმოება რეკომენდირებულია მობილური ამწის გამოყენებით და ე.წ. ამწეკალათების გამოყენებით.

8.15 კარკასის დასრულების პარალელურად ყველა ღია ადგილი უნდა იყოს შემოსაზღვრული უსაფრთხოების ლენტებით ან ბადეებით სანამ კედლები იქნება ამოყვანი, სასურველია ღამის (ლენტური) განათების მოწყობა ფასადებზე.

IX ეტაპი

"1-7" ღერძებში საწყობის შენობის - არამზიდი კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები

9.1. ლითთონის კარკასის (სახურავთან ერთად) დასრულების შემდეგ უნდა განხორციელდეს გარე კედლების შევსება თეთრი ფერის ე.წ. „სენდვიჩპანელებით“, შემდეგ უნდა განხორციელდეს იატაკის მოწყობა სპეც. სასაწყობო ფუნქციისათვის. შემდეგ უნდა განხორციელდეს შიდა საინჟინრო ქსელების მონტაჟი, მოეწყოს შახტები, დგარები და შიგ ჩალაგდეს ქსელები, ყველა სამუშაო უნდა განხორციელდეს საინჟინრო პროექტის მიხედვით (ელექტროობის, სუსტი დენების, გათბობის, ვენტილაციის და ა. შ პროექტების მიხედვით)

9.2.კედლების ამოყვანის შემდეგ შენობაში უნდა დამონტაჟდეს პროექტის მიხედვით და პროექტის ავტორთან შეთანხმებული სხვადასხვა თანამედროვე მექანიზმებით აღჭურვილი კარებები, თეთრი ფერის მეტალოპლასტმასის ფანჯრები და ვიტრაჟები ორმაგი მინაპაკეტით შემინული (საკეტებით და მოწყობილობებით);

9.3 შენობის ირგვლივ უნდა მოეწყოს სარინელი ბეტონით (ქვეშ მოსამზადებელი ფენებით). სასურველია ბეტონის სარინელის მოპირკეთებაც არასრიალა ფილებით. სარილეტან ერტად უნდა მოეწყოს პანდუსები ლითონის მოაჯირებით, მოაჯირები უნდა დამუშავდეს, დაიგრუნტოს და შეიღებოს ზეთოვანი საღებავით.

X ეტაპი

მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა

(ობიექტის დასუფთავება და ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა სამუშაოები)

10.1. ობიექტი ვერ ჩაბარდება ექსპლუატაციაში შენობის სრული დამთავრებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა-გამწვანების გარეშე.

10.2. საპროექტო ობიექტის ირგვლივ უნდა გაიწმინდოს ტერიტორია, შემდეგ განხორციელდეს ვერტიკალური გეგმარება, შემდეგ კეთილმოწყობა-გამწვანება გამწვანების პროექტის მიხედვით, ასევე უნდა განხორციელდეს მისასვლელი გზებისა და ბილიკების მოწყობა. შენობის ირგვლივ უნდა მოეწყოს სპეციალური პარკინგები, მისადგომები და ა. შ.

10.3. ბოლო თვეებში უნდა დაიგეგმოს მთლიანი ობიექტის დასუფთავება მიმდევრობით და მომზადება ექსპლუატაციაში მისაღებად.

10.4. მშენებლობის მომარაგება მასალებითა და ნაკეთობებით ორიენტირებულია ბაზარზე, ამავე დროს სამშენებლო ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს მძლავრი საწარმოო ბაზა და ამასთანავე უნდა იყოს დაკომპლექტებული მაღალი თანრიგის მუშებითა და შესაბამისი ინჟინერ ტექნიკური პერსონალით.

10.5. სამშენებლო ობიექტი ყოველდრიურად უნდა კონტროლდებოდეს უსაფრთხოების ინჟინერის სპეციალისტების ქვეშ, საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ინტენსიურად უნდა მიმდინარეობდეს უსაფრთხოების კუთხით ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გადამზადება.

10.6. სამუშაოთა მწარმოებელმა განუწყვეტლივ უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით. არქიტექტურულ, კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმებისა და ნახაზების

კორექტირების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქიტექტორის მხრიდან.

11. რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

11.1. მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში:

№	დასახელება	მარკა	რაოდენ. ცალი
1	2	3	4
1	მცირე ჩამჩისმოცულობიანი ექსკავატორი ბულდოზერის ფარით	უცხოური წარმოების	2
2	ავტოთვითმცლელი, სპეც. ავტოთრანსპორტი სამშენებლო მასალების შემოსატანად	სხვადასხვა	2
3	ავტოამწე (მობილური) მასალის გადმოსატვირთად და დასასაწყობებლად	სხვადასხვა	2
4	ზედაპირული ვიბრატორი	C -697	2
5	ე.წ. "ბობკატი"	უცხოური წარმოების	2
6	ავტობეტონმრევი მიქსერი-ბეტონის საზიდი	B-5	2
7	ბეტონის მიწოდებისათვის ტუმბო, ე.წ. "პომპა"	უცხოური	1
8	გადასატანი კომპრესორი	CO-45	1
9	შესადუღებელი აგრეგატი	CO -48	2
10	ცემენტის ფენის მოსასწორებელი აგრეგატი	CO -89	2

11	შესალეს-მომასწორებელი აგრეგატი	СО -54	2
12	სამშენებლო საწევლა თვირთამწეობით 100კგ, ტვირთის სიმაღლეზე აწევით 30მ	ТП -5	2
13	ელექტროშესადუღებელი აპარატი	კომპ.	2
14	ავტოგენური შედუღების აპარატი	კომპ.	1
15	სამღებრო სადგური	КПС-2	2
16	ხის და ლითონის სახარაჩო სექციები 300მ2	კომპ.	20
17	დიზელ გენერატორ 100კვა.	ცალი	1
18	სანგრევი მექანიზმები, პნევმატური ინსტრუმენტები, საბურღი, საჭრელი და ა. შ.	კომპ.	40
19	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპ.	30

11.2. რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

12. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად „სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში” და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე: საქართველოში მოქმედი “მშენებლობის უსაფრთხოების წესები” (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 27.05.2014წ. №361 დაგენილებით;)”; და „სნ და წ. 111-4-80 უსაფრთხოების

ტექნიკა მშენებლობაში” და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით.) კერძოდ:

12.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

12.2. ბეტონის ტუმბოს გამოყენებისას ნარევის მიწოდება და ჩასხმა ქარგილებში უნდა მოხდეს ერთ მეტრზე ნაკლები სიმაღლიდან.

12.3. ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

12.4. მშენებლობაში საჭიროა სერტიფიცირებული მასალების და ნაკეთობების გამოყენება მათი ტოქსიკურობის გათვალისწინებით დაშვებულ ნორმებში.

12.5. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას.

12.6. საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას, საღებავების, ლაქის წასმისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურავებს.

12.7. საყალიბო ქარგილები დაყენების შემდეგ მოწმდება საიმედობაზე მათში ბეტონის ჩასხმამდე. ასევე მოწმდება ბადიის საიმედობაც და წესრიგიანობაც სამაგრების თვითგახსნა რომ არ მოხდეს.

12.8. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურებაც არ მოხდეს.

12.9. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

12.10. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოს შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

12.11. სამშენებლო მოწყობილებათა ჩართვა (საწევლები, მოზაიკის საპრიალებელ-მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. ელექტროქსელის სამსახურის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და განათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

12.12. ამწე საწევლების; ელექტროსაწევლას და სხვა მანქანა მექანიზმების მუშაობის პეროდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

12.13. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია. ავტოამწის მუშაობის დროს მოშორებით დგება მესიგნალე და აწესრიგებს როგორც ფეხმავალთა, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობას.

12.14 აუცილებელია შეზღუდვის საზღვრების მითითება დროებით ღობეზე და სხვა თვალსაჩინო ადგილებში ავტოტრანსპორტის მოძრაობის შემზღუდავი ფირნიშებთან ერთად და მათი განათების უზრუნველყოფა ღამის საათებში.

13. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

13.1. მშენებლობის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად.

13.2. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულების პერიოდში ფასადებს საჭიროა ჩამოეფაროს ფარდა, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებულ ზონაში.

13.3. დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭებში ბეტონ და ხსნარმილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

13.4. ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

13.5. გარემოს დაცვის სამსახურიდან ნებართვის გარეშე მშენებლობის ზონაში იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

13.6. ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მომქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისობით.

სადემონტაჟო გეგმა

შენობა №9
დანგრეულია

შენობა №3/1

შენობა №4

შენობა №7

შენობა №5 და №12
არ არსებობს

შენობა №6/1

არსებული შენობა (ნაწილობრივ უცვლელად)

შენობა №11

შენობა №8

შენობა №10 არ არსებობს

I-1/1

I-1/3

I-1/7

IV

III

ნაგვესი

ჟა

ბეტ.

-ხრ-

-ბ-

-ა-

-ბ-

-ა-

სანიტარული

სანიტარული

სანიტარული

სამშენებლო გენგეგმა



პირობითი აღნიშვნები:

- წითელი ხაზი
- დროებითი ღობე
- დროებითი ავტოჭიშკარი

ექსპლიკაცია:

1. საპროექტო ობიექტები
2. სადარაჯო-საკონტროლო ჯიხური.
3. საყოფაცხოვრებო-ინვენტარული ვაგონი:. საპრარაბო ვაგონი, გასახდელები, ადმინ. ოფისი
4. ღია ან დახურული საწყობი+კონს. მოსამზადებელ-დამამუშავებელი ფარდულები
5. სამშენებლო ავტოტრანსპორტი.
6. ბიო სველი წერტილი